№ 205 5 ღვინობისთვე, პარასკევი 1866—1879 5 ღვინობისთვე პარასკევი № 205

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივი ციცეროთი — 5 კაპ., [illegible] — 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე"

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**ფასი** ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით — **სამი** მანეთი.

# საქართველო

### სამღვდელოების ყრილობა თფილისის სემინარიაში

დღეს თფილისის სასულიერო სემინარიაში იხსნება საქართველოს სამღვდელოების სხდომა, რომელზედაც სამღვდელოებამ უნდა ამოარჩიოს ორი წევრი სამღვდელოების მხრით სემინარიის გამგეობისთვის და ერთი ქალი სასულიერო სასწავლებლის შკოლის უფროსად.

ყოველ სამღვდელოების ყრილობას აქვს სრული ნება მოსთხოვოს ანგარიში სემინარიის მთავრობას იმაზედ, თუ როგორ მიდის სწავლა და რა მდგომარეობაშია სემინარია ზნეობითად და ეკონომიურათ. ამ უფლების გამო ეხლანდელმა ყრილობამ, უეჭველია, უნდა მიაქციოს მკაცრი ყურადღება იმ ნაკლოვანებას, რომელიც არა-ერთგზის იყო გამოცხადებული ჩვენს გაზეთში, შესახებ ყმაწვილების ცუდათ მოვლისა და რომელიც არ უნდა დარჩეს ყრილობის მხრით უყურადღებოთ; ჩვენ გვსურს ჩვენის მხრით გადავსცეთ სამღვდელოებას ზოგიერთა მოსაზრებანი.

თფილისის სემინარია იმისთვის არის გახსნილი და საქართველოს სამღვდელოება იმისთვის ინახავს იმას თავისის ჯიბით და საქართველოს ეკკლესიების შემოსავლით, რომ ამ სემინარიამ გაუზარდოს ამ სამღვდელოებას ჩვენს ხალხში გამოსადეგი და სასარგებლო ეკკლესიის მსახურები. ის სწავლის პროგრამმა (წესი), რომელიც არსებობს ეხლა სემინარიაში სრულიად ივიწყებს ამ ჩვენ სამღვდელოების ინტერესს. ამ ჩვენ სემინარიაში აღზრდილ ყმაწვილებმა, სამწუხაროდ, არამც თუ არ აციან ჩვენი ეკკლესიის ისტორია, ჩვენი ტაძრებისა და წმიდა ადგილების წარსული, არამედ უბრალო ეკკლესიის წიგნების წაკითხვაშიაც სდგანან სოფლის დიაკვნებზე ბევრათ დაბლა. ამასთან იმ ათ-თორმეტ წელიწადში, რომელსაც ისინი ახმარებენ სემინარიის კურსის შესრულებას, ისინი მოწყვეტილი არიან ხალხის ცხოვრებიდამ და ამიტომ, როდესაც გამოდიან სემინარიიდამ ცხოვრებაში, რიგიანათ ვერ სცნობენ ხალხის საჭიროებას და, როგორც მოუმზადებელნი, ვერ ეხმარებიან მას რიგიანათ.

სამღვდელოებამ, რასაკვირველია, უნდა თანაუგრძნოს მას, რომ ყმაწვილებმა იცოდნენ ფილოსოფია, ფსიხოლოგია, გომილეტიკა და თავისუფლად კითხულობდენ ლათინურს და ბერძნულს, ჩვენში სრულიად გამოუდეგარს ენებზე, მაგრამ ისიც უნდა იქონიოს სახეში, რომ თუ ამ სემინარიაში კურს შესრულებულმა არ იცის უბრალო „სერობის" წაკითხვა, სოფლის სამრევლოსთვის ისევ სოფლად გაზრდილი დიაკვანი უფრო სასარგებლო რჩება, მინამ ფილოსოფიურად განათლებული სემინარიელი.

თუ სამღვდელოება შეიწყნარებს ამ აზრს და საჭიროდ დაინახავს, რომ ქარ-

---

# ფელტონი

### სუდია იანკო

რუმინიის დაფიცებულ მოსამართლეების წინ ზის ბრალდებულების სკამზედ გლეხი იანკო. იმას აცვია დახეული სერთუკი და ამ დახეულიდგან გამოჩანს შავი კანი. მკვდრის ფერი აძევს. თმები აქვს გრძელი და გაბურდნული, თავი ჩაუღუნავს, თვალები უაზროთ გამოიხედებიან. ამას ჯერ არც ერთხელ არ შეუხედნია მოსამართლეებისათვის.

სუდის სეკრეტარი კითხულობს ბრალდებულობის აქტს. ამ აქტიდგან სჩანს შემდეგი: გლეხი იანკო გაკეთებულის ოჯახის მქონე სოფელს **N**-ში, მართმადიდებელი, 29 წლისა, თავის ცოლის მოკვლის შემდეგ ქვრივი, მანამდინ სალდულევანებას, რომელიც სუფევს ეხლა სემინარიის სწავლაში და ყმაწვილების შენახვაში. გარდა იმ სემინარიის მთავრობის ბოროტ-მოქმედებისა, რომელიც მაგალითო ცხოვრებისა, დანაშაულობის სამის თვის წინათ არჩეული მამასახლისათ თავის სოფელში, თავისავე წარმოთქმით დამნაშავეა მაზედ, რომ ქრისტეს-აღდგომის ღამეს მოკლა სამი პირი თავის ცოლი ქსენია 21 წლისა, თავის უფროსი მოჯამაგირე ალექსი 43 წლისა და ბოშა დედა-კაცი მარიულა, რომლის წლოვანებაც არ არის გამოცხადებული.

აქტი აღწერს მოკვლას მომკვლელისავე სიტყვით: მოწმეები, რომელთაც ენახოსთ ეს მოკვლა, არავინ არიან. ჩვენება იანკოსი, რომელმაც მოკვლის შემდეგ მაშინვე მისცა თავის თავი მართმსაჯულებას, კარგა გძელია და მტკიცდება ამ საქმეზე დანიშნული გამოძიებითაც. ამ ჩვენებიდგან სჩანს, რომ იანკომ ტყვია მოარტყა ცოლს გულში, მოჯამაგირეს სამი ტყვია თავში და ბოშა დედე-კაცი ხელით დაახრჩო.

და თუ რა იყო მიზეზი ამ მკვლელობისა, იანკო არას გზით არა ნდომობს ამის ახსნას.

— „მე მოვიქმედე ასრე, იმიტომ რომ ასე მითხრობდა ჩემი სვინიდისიო".

მოსამართლენი შეუდგებიან საქმის გარჩევას.

— იანკო, ჰკითხავს თავსმჯდომარე დამნაშავეს, თქვენ გაიგონეთ რაც აქ წაიკითხეს და რაცხთ, თუ არა, თქვენ თავს დამნაშავეთ ამ საქმეში?.. იანკო მძიმეთ დგება. ამის სახე ისევ ისე გაყვითლებული და უმოძრავოა, თვალები ჩასცქერიან დედა-მიწას.

— დიახ, სუყველა რაც წაიკითხეს, მრთალია... სთქვა და ისევ წყნარათ დაჯდა სკამზედ.

— თქვენ უნდა ფეხზე იდგეთ, შენიშნა პრეზიდენტმა. ეხლა გვიანბეთ — თუ რა დაგემართათ მოკვლის ღამეს, ან რას ფიქრობდით და ან რას მოქმედობდით იმას წინათ? თქვენ უნდა გვიანბოთ განა თუ მარტო ის თუ როგორ მოახდინეთ ეს საქმე, არამედ ისიც თუ რა მიზეზი ჰქონდათ ამისი?

იანკო ნელა იქნევს თავსა.

— არა, თქვენო მოწყალებავ, მე ეგ არ შემიძლიან. როგორ მოვიქმედე ეგ დანაშაული — მე გიანბეთ და გამეორება

თველმა მღვდელმა იცოდეს ქართული ეკკლესია და ქართული ეკკლესიური წიგნები, იმას სრული უფლება აქვს ითხოვოს სასულიერო მთავრობის წინაშე გახსნან Თფილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის საკუთარი კათედრა იმ დანიშნულებით, რომ ასწავლონ პირველს ოთხ კლასებში:

ა.) ქართული მეტყველება და ქართული ლიტერატურის ისტორია

და ბ) ქართული სამოქალაქო ისტორია.

Უკანასკნელს ორს კლასებში:

ა.) ქართული ეკკლესიის ისტორია,

ბ.) სასულიერო მჭევრმეტყველობა

და გ.) საეკკლესიო წიგნების კითხვაში განვითარება და ეკკლესიაში მსახურების წესი.

Ამ საგნების რიგიანათ შესწავლისთვის საჭიროა დაინიშნოს თითოელ კლასში ორ-ორი საათი კვირაში და სრულიად ყველა კლასებში 12 საათი. Ეს არ შეადგენს დიდს ცვლილებას სემინარიის წესდებულებაში.

Შეიძლება სემინარიის მთავრობამ სთქვას, რომ იმას არა აქვს თავისუფალი საათები ქართული საგნებისათვის. Ამის პასუხიც ადვილი არის. Ჯერ ერთი, რომ ჩვენს ქვეყანაში, როგორც სასულიერო, ეგრეთვე სამოქალაქო მთავრობის განკარგულება ყოველთვის არის ხოლმე ჩვენი ქვეყნის შესაფერი. Თუ კი ჩვენს სასამართლოებში საზოგადო რუსეთის კანონები იცვლება ჩვენი ცხოვრების და გარემოების მიხედვით, რა დიდი რამ შეიქნა ეს სემინარიის წესდება, რომ იქ არ ახდენენ ცვლილებას? Სახარება ბრძანებს: შაბათი კაცისათვის დაიბადა და არა კაცი შაბათისათვის. Იგივე ითქმის ჩვენს სემინარიაზე: სემინარია ჩვენი საჭიროებისთვის არსებობს და არა ჩვენ სემინარიისთვის. Და მეორეც ისა, ვის გაუგონია, რომ ჩვენს სემინარიაში კურს შესრულებულს გამოეყენებინოს რაშიმე ის Ლათინური და Ბერძნული ენები, რომლებსაც თორმეტი კი არა, სამჯერ თორმეტი საათიც აქვს დანიშნული კვირაში?!...

Ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს აზრი თვით სამღვდელოებაშიაც არის გავრცელებული და ყველას სურს დაინახოს სემინარიაში ქართული ენისა და ისტორიის სწავლა რიგიან გზაზე დაყენებული. Ვისურვოთ, რომ სამღვდელოებამ მაგრათ მოკიდოს ხელი ამ მისი სურვილის ასრულებას და თუ საჭირო იქნება მიაწევინოს მისი თხოვნა უმაღლესი მთავრობის ყურამდის. Უმაღლესი მთავრობა ყოველთვინ მზათ არის ასრულოს ქართველ საზოგადოებას პატიოსან-სადები მისი თხოვნა.

---

## ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** Ჩვენ გვატყობინებენ, რომ ზოგიერთ ადგილებში ქართლისაკენ კალია გამოჩეკილა კვერცხებიდამ და პატარა ბუზის ოდენა კალიები დახტიან მინდვრებშიო. Ეს გარემოება ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის ძლიერ სასიამოვნოდ უნდა დარჩეს, რადგან ახლა გამოჩეკილა კალია, უეჭველია, ამ ზამთარში სულ გაწყდება სიცივისაგან; მიწაში ჩადებულ კვერცხებს კი სიცივე ვერას დააკლებს.

Დიდი ბედნიერება იქნება ჩვენის ქვეყნისათვის, თუ ცოტა ხანს კიდევ ამ ღვინობისთვეში ამისთანა თბილი დღეებს დაიჭერს, როგორც ახლა არის; მაშინ სხვა ადგილებშიაც, სადაც კი ამ ზაფხულ კალიამ კვერცხი დასდო, გამოსჩეკავს და ყველას ზამთრის სიცივე გასწყვეტს.

Ამ ნაირად ჩვენ ისევ ბუნების იმედი უნდა გვქონდეს, თორემ, როგორც ვხედავთ, ჩვენებური კაცი ვერ [illegible] ამ საძაგელ და ქვეყნის დამღუპველ კალიასა..

*** Ბუშინწინ, 2 ღვინობისთვეს, მუალიმზე სადოვის ქუჩაზე სომხის ვაჭრის Იაგორ Ქარაპეტოვის სახლს გაუჩნდა ცეცხლი და კიდეც დაიწვა. Ცეცხლის მქრობელი კამანდა, თუმცა გვიან მოვიდა, მაგრამ როცა მოვიდა, მარჯვედ მოქმედებდა და იმდენი მოახერხა, რომ ამ სახლზე მიდგმული სხვა სახლები და სომხის ეკკლესია გადაარჩინა ცეცხლს. Მაგრამ ამ კამანდას ყოველთვის უწყლობა აბრკოლებს ხოლმე..

*** Ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ ერთი რუსი უფ. Ტრიპოლსში ჩამოვიდა აქ იმ განზრახვით, რომ შეადგინოს კამპანია და გამართოს შაქრის ქარხანა Ბაქოს გუბერნიის Ლენკორანის მაზრაში, სადაც იმისათვის ხაზინას მუქთად დაუთმია რამდენიმე დესიატინა ადგილი. Ახლა ვტყობულობთ, რომ უფ. Ტრიპოლსკია მოუხერხებია Თფილისშივე შედგენა ამ კომპანიისა; წევრებად ჩაწერილან და ფულიც გამოუღიათ ამ საქმისათვის ზოგიერთ ჩვენ ქალაქის მდიდარ სომხებს, როგორც მაგალითად, Ალელოვს, Პეპინოვს, ზ. Თამამშევს, Არტ. Სარქისოვს და სხვ.

Ამბობენ, რომ უფ. Ტროპოლსკი ამ დღეებში აპირებს Ლენკორანში წასვლას ხსენებული ქარხნის გასამართავად და საქმის დასაწყებად.

*** Გაზ. „Კავკაზში“ დაბეჭდილია ოფიციალური ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ Ბაქოსა და Კრასნოვოდსკს შუა, Კასპიის ზღვაში, უკვე გაუ-

---

—მეტია, და თუ რ ა თ მოვიქმედე—მაგას ვერ გეტყვით, ვერც თქვენ და ვერც სხვას თავის დღეში.

— Კანონი თხოულობს მაგას; კანონი თხოულობს თქვენგნით სრულიად გამოტეხას, და თუ თქვენ ინანით თქვენ დანაშაულს, რატო იმასაც არ იტყვით— თუ რა მიზეზმა მიგიყვანათ მაგაზედ? Მაგის ახსნა თქვენთვის სამჯობინია; თქვენ სხვა გვარი დამნაშავე ხართ: ყველა თქვენი სოფლელი ერთ-ხმივ ამბობენ, რომ თქვენ ხართ კეთილი, პატიოსანი და ჭკვიანი კაცი, რომ ამ თვისებებისთვის ამოგირჩიეს თქვენ სუდიათ აგრე ყმაწვილი კაცი. Გარდა ამისი თავადი Ს., რომელთანაც თქვენ გიმსახურნიათ, უანბობს სუდს, რომ თქვენა ხართ უპატიოსნესი, უერთგულესი და უჭკვიანესი იმათში ვინც კი იმას ემსახურებიან. Და თუ ამ გვარი კაცი მოიქმედებს მაგ გვარს აუხსნელს დანაშაულს, ის ან უნდა იყვეს გიჟი,—და თქვენ სრულ ჭკუაზედ ხართ, და ან არა-და უნდა ჰქონდეს დიდი რაიმე მიზეზი. Რა შემთხვევა გქონდათ მაგისთანა?—Აღიარეთ. Მგ გაამსუბუქებს თქვენ სვინიდისს და შეგიმსუბუქებთ ის სასჯელს, რომელიც თქვენ მოგელით.

Იანკო კიდევ ნელა თავს იქნევს და უხმოთ წამოსთქვამს ამ სიტყვებს:

— Გმადლობთ თქვენცა, ჩემ ბატონსაც და ჩემ სოფლელებსაც; მაგრამ იმაზე მეტი აღარა შემიძლიან-რა გითხრათ. Მე გამოვთქვი ჩემი დანაშაული იმიტომ კი არა, რომ ვინანი: არა, იმიტომ, უფალნო მსაჯულნო, რომ დამსაჯოთ...

Დაიწყო მოწმეების კითხვა. Პირველი მოწმე იყო მოხუცი გლეხ-კაცი, Ტოლრკი, რომელიც Იანკოს წინათ იყო სუდიათ და რომელიც ეხლაც Იანკოს თანამდებობას ასრულებს, მანამ „არ გამოჩნდება ვინმე ისეთივე ღირსეული ამ ალაგისა, როგორიც იყო Იანკო“. Პატარა, ლაქლაქა ბებერი კაცი, წითელის ცხვირით იფიცებს და იწყებს თავის ჩვენებას.

—Ეს იყო აღდგომა დღესა. Დიდი დღესასწაულის გამო მე წაველ ეკკლესიაში, იქითდგან დუქანში და შინ საღამომდინ არ დავბრუნებულვარ. Რადგანაც მე აქ დავიფიცე, რომ ყველაფერი სწორეთ უნდა ვსთქვა, ამიტომ უნდა მოვახსენოთ, რომ მე კი არა ცოლშვილმა მიმიტანეს შინა, რადგანაც ძრიელ მთვრალი ვიყავ; ლოგინზე დამდეს და დავიძინე. Ღამის სამ საათზე ატყდა საშინელი ავდარი და ქარიშხალი. Მე კი არაფერი გამიგია. Ჩემმა ცოლმა უთხრა უფროსს ქალს—ქმრიანია, მაგრამ იმ დღეს ჩვენსა იყო, რადგანაც თავის ქმარს წაჩხუბებოდა; და ეხლა ისინი დიდი ხანია შერიგებულნი არიან, —ჰო მართლა, აი იმას უთხრა ჩემმა ცოლმა:—იცი Ანიცა, უთუოთ თავი დაიხრჩო ვინმემ, რომ ქარი ასე ფრიალებს... Და როგორც იმან ეს სიტყვები გაათავა, ვიღაცამაც კარი დააბრახუნა. Დედა-კაცებს შეეშინდათ.

— Ვინ არის? ჰკითხა ჩემმა ცოლმა.

— Მე ვარ, Იანკო, ჩქარა გამიღეთ!

Გაუღეს კარი, აანთეს სანთელი და რა შეხედეს Იანკოს, გაოცდნენ. Ეს თუმცა იყო Იანკო, მაგრამ არც თუ ის იყო, თითქმის ოცის წლით დაბერებულიყო.

თავებიათ ტელეგრაფის მავთულის (კაბელის) გაყვანა და ამ ტელეგრაფს მუშაობაც დაუწყიათ.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრნი მოწვეულნი არიან ჩვეულებრივ სხდომისათვის, რომელიც იქნება შაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 7½ საათზე, ხსენებული საზოგადოების სადგომში (ბარიათინსკის ქუჩაზე, ალექსანდროვის ბაღში).

*** „თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილის კორრესპონდენციიდამ სჩანს, რომ არტაანის მაზრის უფროსს უფ. რაზდერიშინს იმიტომ გაუწვევნია და გაუროზგავს იქაური მეორე გილდიის ვაჭარი უფ. სურინოვი, რომ ამას ცხენი არ უთხოვებია უფ. ნაჩალნიკისათვის. უფ. სურინოვი ზაფთიებს მიუყვანიათ რაზდერიშინთან, ამის ბრძანებით გაუხდიათ სულყველაფერი, რაც ცმია და ისე უცემიათ მათრახით. შემდეგ ჩაუგდიათ სარდაფში, სადაც ოთხი დღე ყოფილა ავათმყოფი და უჭმელ-უსმელი, ექიმიც კი არ მიუკარებია.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ამ საქმის თაობაზედ პროკურორმა გამოძიება დანიშნაო.

*** გასული სექტემბრის თვის 14-ს მ. ი. უ. კავკასიის ნამესტნიკი წაბრძანებულა ბორჯომიდამ ახალქალაქით არტაანში და ოლთას ახლად რუსეთთან შემოერთებულ მხარის დასახედავად და გასაცნობად. ეს მოგზაურობა დაწვრილებით აწერილია გაზეთს „კავკაზში“; ყველაზე უფრო საყურადღებო ამ აღწერილობაში ჩვენ ამოვიკითხეთ დ. მ. ნამესტნიკის სიტყვები, რომლითაც იმას მიუმართავს არტაანში შეყრილ ადგილობრივ ბეგებისა და ხალხისათვის; აქაც, როგორც ბათუმში, ნამესტნიკმა გამოუცხადა ხალხსო, რომ „ამათ სარწმუნოებას, რჯულსა და ჩვეულებას არავინ ხელს არ ახლებს“, რომ, თუ ისინი იმუშავებენ და მშვიდობიანად იცხოვრებენ, ბედნიერი მომავალი და კანონისაგან დაცვა მოელოდეთ. ამას გარდა დიდმა მთავარმა გამოაცხადა, რომ ვინც მაინცა-და-მაინც არ მოინდომებს თავის სამშობლო ქვეყანაში დარჩენას და ოსმალეთში გადასახლებას დააპირებს, იმათ თავიანთი ადგილის ფასი ხაზინის დაფასებით მიეცემაო.

ამას წინეთ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ დიდის მთავრისაგან ბათუმში თქმულმა სიტყვებმა, რომ „თქვენს სჯულსა და ჩვეულებას კაცი ხელს არ ახლებსო და გადასახადიც იმდენი დაგედებათ, რამდენიც ოსმალოს მთავრობის დროს გქონდათო“—ამ სიტყვებს დიდი და საკეთილო გავლენა ჰქონდა მთელს ბათუმის მაზრაშიო, ხელმწიფის ძმის სიტყვებმა დაამშვიდობა ხალხიო, იმედი მიეცათო, რომ იმათ ვერავინ შეაწუხებსო და სხვ. უეჭველია, რომ ამავე სიტყვებს ეგრეთვე კეთილი გავლენა ექნებოდა არტაანის მხრის ხალხზედაც.

მაგრამ დაპირებას, რომ ვინც ოსმალოში გადაესახლება, იმათ მიწა-წყალს ხაზინა შეისყიდოსო,—ამ დაპირებას, თუ ოფიციალურს გაზეთში სწორად და ნამდვილად არის დაბეჭდილი ნამესტნიკის სიტყვები, რაღა თქმა უნდა დიდი ზედმოქმედება ექნება ამ ხალხის გადასახლებაზედ: როცა ნახვენ, რომ ადგილ-მამულს ხაზინა ჰყადულობს, რომ ეს მიწა-წყალი ოხრად არ რჩებათ იმათ აქ, უეჭველია, მაშინ უფრო თამამათა და ადვილად გადასახლდებიან ოსმალეთში. საუბედუროთ; არავისთვის არ იქნება არც სანატრელი და არც სასარგებლო.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

სტამბოლში მიუღიათ ამავე აზრუმიდამ, რომ ქურთების არეულობა და აჯანყება თან-და-თან ძლიერდება და მატულობსო. ამ მოკლე ხანში აჯანყებულების დასამშვიდებლად სტამბოლიდამ გაგზავნილი ათი ბატალიონი ჯარი მისულა ტრაპიზონში; ამას გარდა მალე ახალი ჯარები იგზავნება ქურთისტანშიო.

— ერთს ნემეცურ გაზეთში დაბეჭდილია ავსტრიისაგან შედგენილი პლანი შესახებ ოსმალეთის გამგეობისა. ამ პლანით ოსმალეთი ათ მაზრათ ანუ გუბერნიათ უნდა გაიყოს, რომელთაც განაგებენ ოსმალეთის ღუბერნატორები, მაგრამ თითოეულ ღუბერნატორთან მიჩენილი იქნება ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებისაგან დანიშნულ პირების კომისია; ეს კომისია იქნება ზედამხედველი გამგეობისა. მცირე აზიის გამგეობის ზედამხედველობა საკუთრივ ინგლისსა და საფრანგეთს უნდა ექმნეს მინდობილიო და ევროპის ოსმალეთის მაზრებისა კი ავსტრიასა და გერმანიას და სხვ. ამ ვენის პლანის სიტყვით, მშვიდობიანობა და წესიერება ოსმალეთში მხოლოთ მაშინ დამყარდება, როდესაც ამგვარ გამგეობას დაადგენენ.

— ერთს ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი გვაცნობებს, რომ ის ბერძენი, კონსტანტინე კარაიანოპულო, რომელმანც ხონთქრის მოკვლა განიზრახა ამას წინათ და ციხეში დაჭერილი იყო, ოსმალეთის

---

— რა გინდათ, ჰკითხა ჩემმა ცოლმა, და შიშით აკანკალდებდა.

იანკომ იმას არა უპასუხა-რა, პირდაპირ მოვიდა ჩემ ლოგინთან და დამიწყო ღვიძება.

— ტოლიკო, ადექი, ადექი!

მე ჯერ ვერა გავიგე-რა, ამიტომ რომ მაგრა მეძინა. მერე წამოვჯექ და უთხარ:

— იანკო, რა არის, რა დაგმართვია?

იმას რო შევხედე, ნახევარზედ გამოვფხიზლდი კიდეცა და როცა იმან დაილაპარაკა, მაშინ ხომ სულ ერთიანათ გაქრა ჩემი სიმთვრალე.

— შენ იყავ ჩემ წინათ სულიათ, ტოლიკო, მითხრა იმან, შენსავე ხელში გადმოვცემ ეხლა ჩემს თანამდებობას. ეხლა დამიჭირე და გამგზავნე ქალაქს; მე მოვკალ ჩემი ცოლი, ჩემი მოჯამაგირე ალექსი და ბებერი, კუდიანი მარიულიხო.

აქ მე წამოვხტი ლოგინიდგან.

— რას ამბობ, იანკო, ხომ არ გაგიჟდი?

ამის წინა დღეს უცებ ბნედით მოუკვდა პატარა ბავშვი, მშვენიერი გოგო, რომელიც იანკოს ძრიელ უყვარდა და მე ვიფიქრე იქნება დარდით გაგიჟდამეთქი.

— იანკო, უთხარ მე, იქნება საშინელი სიზმარი ნახე შენ ბავშზე; მაგრამ რა გეეწყობა, უნდა მოითმინო, უთოთ ეგრე იყო ღვთის ნება.

— არა, დაიყვირა იანკომ საშინელის ხმითა, არა, ის არ მომკვდარა ღვთის ნებით, მაგრამ სულ ერთია, იმის ჯავრი მე ამოვიყარე: დავსაჯე დამნაშავენი და დეე ხალხმა ეხლა მე რაც უნდა, ის მიყოს. წამიყვანე ჩქარა ქალაქში?....

ძლივს მივხვდი, რომ იანკო მართალს ლაპარაკობდა და შიშისაგან შევწრწუნდი. იანკო იყო კაცის მკვლელი! დილით მე ის ქალაქს წავიყვანე.

— განა თქვენ იანკომ იმაზედ არა გითხრათ-რა, თუ რა მიზეზით მოიქმედა ეს კაცის მკვლელობა? ჰკითხა პრეზიდენტმა მოწმეს. მოწმემ თავი ჩაღუნა და ჩუმათ გახედა იანკოს, რომელიც ამ დროს საშინლათ აღშფოთდა. თავი მაღლა აიღო და იმისმა პირის-სახემ სიცოცხლის ფერი მიიღო; ცეცხლით სავსე თვალებით იანკო ემუდარებოდა მოწმეს სიჩუმესა.

— თქვენო ბატონებავ, მართალია, ერთი სიტყვა წამოსცდა გზაში ჩემთან იანკოს; მაგრამ მე იმას პირობა მივეც არ გაგცემ მეთქი. იანკო რო ნებას მომცემდეს, ვიტყვი...

— შენ არას იტყვი! ბძანების ხმით უთხრა დამნაშავემ.

— თუ კიდევ დაძრულხართ, იანკო, ეხლავ უბძანებ გაგიყვანონ, გაჯავრებით უთხრა პრეზიდენტმა.

— მე დავიფიცე სუყველაფერს ვეტყვიმეთქი, წუწუნით ბუტბუტებს მოწმე. არ შემიძლიან არა ვთქვა.. ნუ გეწყინება, ჩემო იანკო! აი როგორ იყო, ბატონებო.....

— სუ, გაიმეორა იმავე ხმით დამნაშავემ... თუ ჩემი შერცხვენა უნდა გამოცხადდეს, მაგას, ჩემს გარდა, არავის მივცემ ნებას გამოაცხადოს... უბძანეთ ამ ყბედ ბებერს აქედგან გავიდეს.. სთხოვა იანკომ თავმჯდომარეს:—მე თვითონ გიამბობთ როგორც მოხდა.

(გაგრძელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობას საიდუმლოთ მოუკვლევინებია სალდათებისათვისაო.

— საბერძნეთისა და ოსმალეთის სამზღვრების საქმეები როგორღაც ვერ თავდება, და, როგორც ამბობენ, მორიგების ნიშნებიც არა სჩანსო და ამის გამო ოსმალეთის მთავრობა ახლაც გზავნის ჯარებს საბერძნეთის სამზღვრისკენაო.

# განცხადებანი

## თფილისის ქალაქის თავისაგან

**თფილისის ქალაქის თავი** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ მდგომარე ღვინობისთვის 9-ს თფილისში მოვა უ მ ა ღ ლ ე ს ა დ დამტკიცებული სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის პოდკომისია დასახედავად ფოთი-თფილისის რკინის გზისა და მისაღებად იმ საჩივრებისა (ნაწერის და სიტყვიერის), რომელიც კი ექნებათ როგორც პასაჟირებს, ამ გზაზე მოგზაურობს, აგრეთვე საქონლის გამგზავნ-გამომგზავნით. ამის გამო ქალაქის თავი ვალად რაცხს შეატყობინოს ყველა უწყებათა და კერძო პირთ, რომელთაც ამგვარი დაწერილი ანუ პირადი საჩივრების განცხადება პირ-და-პირ პოდკომისიისათვის, რომელიმე მიზეზის გამო, არ ეხერხებათ, რომ ეს საჩივრები გამოაცხადონ ქალაქის გამგეობაში (უპრავაში), რომელიც იმათ თავის დროზე თვითონ გარდასცემს ხსენებულ პოდკომისიას.

(3—1)

**ქუთაისში,** მიხაილოვის ქუჩაზე, ხეჩინოვის სახლებში, **ივანე კურწოვის მაღაზიაში ისყიდება** ნამდვილი, თეთრი

## წმინდა (თაფლის) სანთელი

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე **თფილისშიაც,** სიონის ულიცაზედ, ონანოვის ქარვასლაში.

(10—8)

ქართული წერის სასწავლი

## დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თ ბ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,

ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ქეკელიასთან შკოლაში,

ო ზ უ რ გ ე თ ს: სასულიერო სასწავლებელში,

ხ ო ნ შ ი: უფ. ჭალაგანიძესთან,

გ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელში,

თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

ს ი ღ ნ ა ღ ს: უფ. ქ. ბალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

# ბიბლიოგრაფიული ცნობა

**პირველ-დასაწყისი კურსი რუსული ენისა ქართველთათვის,** შედგენილი გ. ქალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ქუკიის ხიდთან. ფასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ითზე მომეტებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—2)

| რკ. გზა. | დილ. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 4 ოქტომბ. | — | — |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 60 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 80 |
| —ამერიკისა, ფუთს . | 9 | 40 |
| ბაჲენტილი ბამბა ფუთი. | 11 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | — |
| —თ რაქამიხა ფუთი . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 65 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 25 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 14 | 50 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

## თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჟურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგ., ასტუა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ჟურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი — ვენერ. და კანის; ბაბაევი — გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.; ჟურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Октября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.